ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4803327

ნომერი: AR1723632

თარიღი : 09.12.2019

გაცემის თარიღი : 24.12.2019

გაცნობის თარიღი : 24.12.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკაშიძე , N 10; ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკაშიძე , N 8; ქალაქი თბილისი , ქუჩა ბარათაშვილი , მიწისქვეშა გადასასვლელთან არსებული ქალაქის ბურჯის პერიმეტრის გასწვრივ ტერიტორია და შიდა ნაწილი , (ნაკვეთი 017/014); ქალაქი თბილისი , ქუჩა ნაკაშიძე , (ნაკვეთი 17/026);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 ნოემბრის №4764713 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 09 დეკემბერს №AR1723632 განცხადებით მომართა თამაზი მურვანიძემ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 25 ნოემბრის №4764713 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 25 ნოემბრის №4764713 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში (სექტორი-კრწანისი), ნაკაშიძის ქუჩა (ნაკვეთი: 17/026, ს/კ:N 01.18.03.017.026) ნაკაშიძის ქუჩა №8 (ს/კ: №01.18.03.017.023), ნაკაშიძის ქუჩა №10 (ს/კ:№01.18.03.017.019), ბარათაშვილის ქუჩა, მიწისქვეშა გადასასვლელთან არსებული ქალაქის ბურჯის პერიმეტრის გასწვრივ ტერიტორიაზე და შიდა ნაწილზე (ნაკვეთი 017/14, ს/კ: № 01.18.03.017.014) (ძეგლი), სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 26 ნოემბრიდან 2021 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით.
წარმოდგენილი განცხადებით განმცხადებელი ითხოვს, რომ სამსახურის 2019 წლის 25 ნოემბრის №4764713 ბრძანებაში, კერძოდ მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი-ს ველში №01.18.03.017.026 და №01.18.03.017.014 საკადასტრო ერთეულებთან ერთად დაფიქსირდეს N №01.18.03.017.019 და N 01.18.03.017.023 საკადასტრო ერთეულები შესაბამისი მისამართებით.
საპროექტო დიკუმენტაციის გადამოწმების შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ 2019 წლის 23 ოქტომბერს №AR1714571 განცხადებით მოთხოვნილ იქნა №01.18.03.017.026, №01.18.03.017.014, №01.18.03.017.023 და №01.18.03.017.019 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებით ნებართვის მიღება. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და 2019 წლის 25 ნოემბრის №4764713 ბრძანებით (საპროექტო მიწის ნაკვეთები: №01.18.03.017.026, №01.18.03.017.014, №01.18.03.017.019 და N 01.18.03.017.023) მოწონებულ იქნა სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა 2021 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით, თუმცა ბრძანებაში სრულყოფილად არ იქნა მითითებული საპროექტო მიწის ნაკვეთის მისამართები და საკადასტრო კოდები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 ნოემბრის №4764713 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე თამაზი მურვანიძის 2019 წლის 09 დეკემბერს №AR1723632 განცხადება.
2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 ნოემბრის №4764713 ბრძანებაში, კერძოდ:
2.1. მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ის ველს დაემატოს საკადასტრო კოდი: №01.18.03.017.019, მისამართი: ქალაქი თბილისი, ნაკაშიძის ქუჩა №10 და საკადასტრო კოდი: №01.18.03.017.023, მისამართი: ქალაქი თბილისი, ნაკაშიძის ქუჩა №8.
2.2. სამსახურის 2019 წლის 25 ნოემბრის №4764713 ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. მოწონებულ იქნას ქ. თბილისში (სექტორი-კრწანისი), ნაკაშიძის ქუჩა (ნაკვეთი: 17/026, ს/კ:N 01.18.03.017.026) ნაკაშიძის ქუჩა №8 (ს/კ: №01.18.03.017.023), ნაკაშიძის ქუჩა №10 (ს/კ:№01.18.03.017.019), ბარათაშვილის ქუჩა, მიწისქვეშა გადასასვლელთან არსებული ქალაქის ბურჯის პერიმეტრის გასწვრივ ტერიტორიაზე და შიდა ნაწილზე (ნაკვეთი 017/14, ს/კ: № 01.18.03.017.014) (ძეგლი), სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი''.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 ნოემბრის №4764713 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 25 ნოემბრის №4764713 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge